

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის  
შექმნის 30 წლისადმი მიძღვნილი  
რესპუბლიკური სამეცნიერო  
კონფერენციის მასალები

თბილისი  
2010-2012

## შ ი ნ ა ა რ ს ი

<b>ოთარ გამყრელიძე</b>	მართლწინააღმდეგობის ცნება და სისხლის სამართლის კანონი .....	11
<b>გურამ ნაჭყეია</b>	ევენტუალური განზრახვის პრობლემა სისხლის სამართალში .....	25
<b>ნიკოლოზ (ნუგზარ) გაბრიჩიძე</b>	საპროცესო შეთანხმება: განვითარება, პერსპექტივები .....	34
<b>შოთა ფაფიაშვილი</b>	ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები .....	40
<b>მიხეილ მამნიაშვილი</b>	ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ასპექტები .....	47
<b>თეა შაყულაშვილი</b>	მონმის იმუნიტეტის პრობლემები სისხლის სამართლის პროცესში .....	62
<b>პაატა კობალაძე</b>	პროკურორის უარი ბრალდებაზე - ფუნქცია თუ დისფუნქცია? .....	77
<b>ედიშერ ფუტყარაძე</b>	მართლწინააღმდეგობის საკითხისათვის გერმანულ სისხლის სამართალში .....	89
<b>პეტრე დაუთაშვილი</b>	ერთიანი დანაშაული და კვალიფიკაციის ზოგიერთი თავისებურება .....	97
<b>ალექსანდრე გიორგიძე</b>	არაცნობიერი ფსიქიკურის გავლენა დანაშაულის მოტივაციაზე და დამნაშავის რესოციალიზაციაზე .....	100
<b>ირმა გაბელია</b>	კრიმინალიზაცია და მასთან დაკავშირებული პროცესები, როგორც სისხლის სამართლის კანონმემოქმედების დამოუკიდებელი მიმართულებანი .....	112
<b>გიმზერ ალანია</b>	დაზარალებულის დაკითხვის თავისებურებები ბიზნესის სფეროში ჩადენილი თაღლითობის საქმეზე .....	123
<b>ჯემალ გახოკიძე</b>	რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები .....	132
<b>ვეფხვია გვარამია</b>	ექსტრადიციის საერთაშორისო სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული წყაროების იერარქიის აქტუალური საკითხები .....	138
<b>ქეთევან ჯინჭარაძე</b>	სუვერენიტეტის ცნება და მისი გაგების თანამედროვე ტენდენციები .....	151
<b>დავით გეფერიძე, ავთანდილ ხაზალია</b>	თანამედროვე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები .....	164
<b>ქეთევან ქოქრაშვილი</b>	სამენარმეო კანონმდებლობის რეფორმა საქართველოში (მოკლე მიმოხილვა) .....	170

<b>ასმათ გუგავა</b>	ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი .....	175
<b>თამარ ზარანდია, თეა ჯუღელი</b>	საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება და გაუსხვისებლობის პირობა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით .....	182
<b>სოფიო გვარამია</b>	საგამომცემლო ხელშეკრულების სუბიექტების სტატუსის კონცეფციის საკითხი საქართველოს კანონმდებლობაში .....	198
<b>ლალი გაბისონია</b>	ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტები .....	205
<b>ჯანო წულუკიძე</b>	ჩუქების ძველი ქართული ტერმინოლოგია .....	217
<b>ლაშა გელანტია</b>	საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ .....	228
<b>ქართლოს ფრიდონაშვილი</b>	სახალხო დამცველის უფლებამოსილებანი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში .....	235
<b>თეიმურაზ ბეჟოშვილი</b>	პატივისა და ღირსების დაცვა და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა .....	250
<b>ბადრი კვარაცხელია</b>	სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში მოქმედი კანონები .....	258
<b>ავტორები</b>	.....	263
<b>ავტორები</b> <i>(ინგლისურ ენაზე)</i>	.....	265

## დავით გეჯერია, ავთანდილ ხაზალია

### თანამედროვე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაცია – მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება შექმნილი საერთო ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე. ეს არის კერძო ინსტიტუტი, დამოუკიდებელი ნებისმიერი მთავრობისაგან. მსოფლიოში სულ 40.000-მდე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1968 წლის 23 მაისის 1296 (XIV) რეზოლუციის თანახმად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ეწოდება ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც არ არის დაფუძნებული სამთავრობოთაშორისო შეთანხმებით. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1996 წლის 25 ივლისის 1996/31 რეზოლუციის თანახმად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც არ არის დაფუძნებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე და არ ისახავს მიზნად კომერციულ მოგებას. კ. კოლიარის (საფრანგეთი) მოსაზრებით, “ორგანიზაციები, რომლებიც ხშირად შემოკლებით არასამთავრობო ორგანიზაციებად იწოდებიან, თავიანთი ბუნებით კერძო ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ისინი აერთიანებენ კერძო პირებს, ხანდახან თვით სახელმწიფო მოხელეებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მაგრამ არა სახელმწიფოებს”.<sup>1</sup> საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი ნიშნებია: ა) ფინანსური მოგების მიზნის არქონა; ბ) აღიარება, როგორც მინიმუმ, ერთი სახელმწიფოს მიერ და საკონსულტაციო სტატუსის არსებობა საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებში; გ) ფულადი სახსრების მიღება ერთზე მეტი ქვეყნისაგან; დ) თავისი საქმიანობის განხორციელება, როგორც მინიმუმ, ორ ქვეყანაში; ე) ჩამოყალიბება დამფუძნებელი აქტის საფუძველზე. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი არ შეიძლება იყოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები XIX საუკუნეში წარმოიშვა. მოკლე ცნობები ამ ორგანიზაციების (ისე როგორც სხვა ნებისმიერი ორგანიზაციის) შესახებ შესაძლებელია ამოვიკითხოთ ნიგნში “Yearbook of International Organizations”, რომელიც გამოიცემა ბრიუსელში, საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ<sup>2</sup>. პირველი საერთაშორისო ორგანიზაციები სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში ძირითადად პროფესიული, საგანმანათლებლო, რელიგიური და პაციფისტური

<sup>1</sup> **К. Кольяр.** Международные организации и учреждения. Перевод с французского З. И. Луковниковой и А. С. Маликова. Под редакцией В. Г. Шкунаева. М., 1972, გვ. 472

<sup>2</sup> **Union of International Associations,** – <http://www.uia.be/yearbook-international-organizations-online>.

## სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხასიათისა იყო.

არასამთარობო ორგანიზაციები აქტიურ როლს თამაშობენ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ასპექტში. უფრო მეტიც, მთელ რიგ დარგებში ლიდრობენ კიდეც. კერძოდ, ჰუმანიტარული სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტი (შექმნილია 1970 წელს) დიდ სამუშაოს ასრულებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებისა და პრინციპების შემუშავებისა და გამოყენების თვალსაზრისით. ინსტიტუტი რეგულარულად ატარებს სემინარებს ოფიცერთა მიერ ომის კანონებისა და ტრადიციების შესწავლის, დევნილთა დაცვის ნორმების დაუფლების მიზნით.

საერთაშორისო სამართლის ასოციაცია (შექმნილია 1873 წელს) კოორდინაციას უწევს გამოკვლევებს საერთაშორისო საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართლის აქტუალურ პრობლემებზე. ორგანიზაცია ყურადღებას უთმობს გამოკვლევებს კოლიზიური სამართლისა და საერთაშორისო სახელმეკრულეო სამართლის დარგებში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია (შექმნილია 1924 წელს) შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს საერთაშორისო სისხლის სამართალში კონვენციების გამოყენების მიზნით. იგი შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეროვნული კანონმდებლობების მოდერნიზაციისთვის და საერთაშორისო სისხლის სამართლის, როგორც მეცნიერების, განვითარებისთვის, ინვესტორებისთვის და სემინარებს ამ დარგში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, რომლის მოქმედების პრინციპებსაც წარმოადგენს ჰუმანურობა, მიუკერძოებლობა, ნეიტრალიტეტი, დამოუკიდებლობა, მოხალისეობა, ერთიანობა და უნივერსალურობა, დიდი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების შემუშავებაში. მისი აქტიური მონაწილეობით შემუშავდა ჟენევის კონვენცია (1906წ.) მოქმედ ჯარებში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ<sup>1</sup>. ჰააგის კონვენცია ზღვაზე ომისას 1949 წლის ჟენევის კონვენციის პრინციპების გამოყენების შესახებ ომის მსხვერპლთა დაცვის თაობაზე. მრავალრიცხოვან და უმძიმეს ამოცანათა შორის, რომელსაც ჰუმანიტარული კონვენციები საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტს მიაკუთვნებენ, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ყველა იმ ადგილის თავისუფლად მონახულების უფლება, სადაც ჰყავთ სამხედრო ტყვეები ან ინტერნირებული სამოქალაქო პირები, აგრეთვე სამხედრო ტყვეთა ცენტრალური საცნობარო სააგენტოს მონახულების უფლება, ტყვეთა შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. III მუხლი, რომელიც საერთოა 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენციისათვის, აცხადებს: „მიუკერძოებელი ჰუმანიტარული ორგანიზაცია, ისეთი, როგორიცაა საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი, უფლებამოსილია თავისი დახმარება შესთავაზოს კონფლიქტურ მხარეებს“. წარმოადგენს რა ნეიტრალურ შუამავალს შეიარაღებული კონფლიქტებისა

<sup>1</sup> საქართველოში ძალაშია 1994 წლის 14 მარტიდან.

და არეულობების პირობებში, საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი ძალისხმევას არ იშურებს საერთაშორისო და სამოქალაქო ომების მსხვერპლთა დაცვისათვის (იხ. XXII თავი)<sup>1</sup>.

ბევრი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებთან. მსგავსი თანამშრომლობის ძირითად ფორმას საკონსულტაციო სტატუსი წარმოადგენს. ყოველ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას აქვს საკუთარი წესი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საკონსულტაციო სტატუსის მინიჭების შესახებ. ასეთი სტატუსის მიღება, გარდა იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის დადებითი საქმიანობის აღიარებას გულისხმობს, მიუთითებს არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდაზე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით.

გაერო-ს წესდების 71-ე მუხლის თანახმად,<sup>2</sup> ამ ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით. ასეთი ღონისძიებები, შესაძლოა, შეთანხმებული იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაერო-ს დაინტერესებულ წევრებთან კონსულტაციის შემდეგ.

გაერო-სა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობა რეგლამენტირებულია გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციით „არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების ღონისძიებები“, რომელიც მიღებულია 1946 წელს (შემდგომისთვის არაერთხელ გადაისინჯა).

საბჭოსთან საკონსულტაციო სტატუსი მიკუთვნებული აქვს 1500-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას. ისინი სამ კატეგორიად იყოფა: პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ორგანიზაციები, რომლებიც დიდ ასპექტში საბჭოს საქმიანობას უკავშირდებიან; მეორე კატეგორიას მოეკუთვნება ორგანიზაციები, რომლებიც კონკრეტულ სფეროებში განსაკუთრებული გამოცდილებით გამოირჩევიან; მესამე კატეგორიას მიეკუთვნება ის უამრავი ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება საბჭოს, მის დამხმარე ორგანოებს და გაერო-ს სხვა ორგანოებს აუცილებლობის შემთხვევაში.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Конвенция (II) об улучшении участи раненых, больных и лиц, потерпевших кораблекрушение, из состава вооруженных сил на море. Женева, 12 августа 1949 года, – <http://www.icrc.org/Web/rus/siterus0.nsf/itwpList133/4B3530A96A2EB19-9C325710700297558>.

<sup>2</sup> Устав Организации Объединенных Наций, – <http://www.un.org/ru/documents/charter/chapter1.shtml>.

<sup>3</sup> Организация Объединенных Наций. Доклад Генерального секретаря о работе Организации Генеральная Ассамблея. Официальные отчеты. Шестдесят первая сессия. Дополнение № 1 (A/61/1\*), – [www.unescap.org/EDC/Russian/AnnualReports/2001\(57\).pdf](http://www.unescap.org/EDC/Russian/AnnualReports/2001(57).pdf).

## სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1996 წლის 25 ივლისის 1996/31 რეზოლუცია<sup>1</sup> ადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საკონსულტაციო სტატუსის მინიჭების შემდეგ ძირითად პრინციპს: საკონსულტაციო ურთიერთობები მყარდება გაერო-ს წესდების შესაბამისად მის (გაერო-ს) მუშაობაში არასამთავრობო ორგანიზაციის სამართლიანი, დაბალანსებული და უტყუარი ჩართვის მიზნით. ამ რეზოლუციაში ჩამოყალიბებულია საკონსულტაციო სტატუსის შეჩერებისა და ჩამორთმევის პროცედურები. იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ საკონსულტაციო სტატუსი, შეუძლიათ თავიანთი წარმომადგენლები მიავლინონ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და მისი დამხმარე ორგანოების სხდომაზე, აგრეთვე წარმოადგინონ წერილობითი განცხადებები, რომლებიც საბჭოს მუშაობას შეეხება. მათ შეუძლიათ მოაწიონ საერთო ინტერესების მქონე საკითხების გარშემო კონსულტაციები გაერო-ს სამდივნოსთან.

გაერო-ს სპეციალიზებულ დანესებულებებს საკონსულტაციო სტატუსის მინიჭების საკუთარი წესები გააჩნიათ.

მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია<sup>2</sup> მხოლოდ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს ანიჭებს საკონსულტაციო სტატუსს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მუშაობაში. გარდა ამისა, ამ არასამთავრობო ორგანიზაციების მიზნები და ფუნქციები სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიზნებთან და ფუნქციებთან (წესები<sup>3</sup>, რომლებიც შეეხება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, 1961წ.).

ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან<sup>4</sup> თანამშრომლობის სურვილს (მათ შორის, საკონსულტაციო სტატუსის მინიჭების გზით) გამოთქვამს, შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: ა) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დაკავებულია იმ საკითხებით, რომელიც შედის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კომპეტენციაში; ბ) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები არ ეწინააღმდეგება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს; გ) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია აღიარებულია როგორც მუდმივმოქმედი ორგანიზაცია; დ) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნია მმართველი ორგანო და უფლებამოსილია გამოვიდეს საკუთარი წევრების სახელით; ე) საერთა-

---

<sup>1</sup> Консультативные отношения между Организацией Объединенных Наций и неправительственными организациями, – <http://www.un.org/russian/dhl/resguid-e/ecres.htm>.

<sup>2</sup> International Maritime Organization, – <http://www.imo.org>.

<sup>3</sup> § 9. Международные неправительственные организации, – [http://adhdportal.com/book\\_3381\\_chapter\\_83\\_%C2%A7\\_9\\_MEZHDUNARODNYE\\_NEPRAVITELSTV ENNYE\\_ORGANIZA%D0%AIII.html](http://adhdportal.com/book_3381_chapter_83_%C2%A7_9_MEZHDUNARODNYE_NEPRAVITELSTV ENNYE_ORGANIZA%D0%AIII.html).

<sup>4</sup> World Health Organization, – <http://www.who.int>.

შორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ფორმალურად წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, თავისი სტრუქტურულიდან და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე; ვ) მას უნდა ჰყავდეს თავისი წევრები; რომელთაც ექნებათ ხმის უფლება ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც ორგანიზაციის პოლიტიკასა და საქმიანობას შეეხება (წესები,<sup>1</sup> რომლებიც შეეხება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, 1948 წ.).

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციად, რომელთანაც იუნესკოს<sup>2</sup> შეუძლია თანამშრომლობა, ითვლება ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, თავისი ხასიათიდან გამომდინარე არასამთავრობო მიზნებითა და ფუნქციებით, რომელიც არ არის დაფუძნებული სამთავრობოთაშორისო შეთანხმებით. მან შემდეგი მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს: ა) დაკავებული უნდა იყოს იუნესკოს კომპეტენციაში შემავალი საკითხებით; უნდა ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა აქტიურად დაეხმაროს ორგანიზაციას მისი მიზნების შესრულებაში, იუნესკოს წესდების პრინციპების შესაბამისად; ბ) გააერთიანოს ჯგუფები და ცალკეული პირები, რომლებიც დაინტერესებული არიან იუნესკოს საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სფეროთი, ჰყავდეს მუდმივი წევრები ბევრ ქვეყანაში, რათა ორგანიზაციას საშუალება ჰქონდეს, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ისაუბროს როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კულტურული რაიონების სრულყოფილებიანმა წარმომადგენელმა; გ) როცა საქმე შეეხება რეგიონალური ხასიათის ორგანიზაციას გეოგრაფიული ან კულტურული თვალთახედვით, მას უნდა ჰყავდეს საკმაოდ ბევრი წევრი, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, ღირსეულად წარსდგეს საკუთარი რაიონის სახელით; დ) მას უნდა ჰყავდეს საერთაშორისო საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი ორგანო, სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლობა და ფლობდეს სამუშაო აპარატსა და იმ პროცედურებს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს მუდმივი კონტაქტი იქონიოს სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ თავის წევრებთან.

იუნესკოსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობა შეიძლება სამი კატეგორიის მიხედვით დავახარისხოთ: კატეგორია (საკონსულტაციო და სათანამშრომლო); კატეგორია (ინფორმაციული და საკონსულტაციო) და კატეგორია C (ზიარი ინფორმაცია). არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან, მკაცრად განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> § 9. Международные неправительственные организации, – [http://adhdportal.com/book\\_3381\\_chapter\\_83\\_%C2%A7\\_9\\_MEZHDUNARODNYE\\_NEPRAVITELSTV ENNYE\\_ORGANIZA%D0%AIII.html](http://adhdportal.com/book_3381_chapter_83_%C2%A7_9_MEZHDUNARODNYE_NEPRAVITELSTV ENNYE_ORGANIZA%D0%AIII.html).

<sup>2</sup> UNESCO, – <http://www.unesco.org>.

<sup>3</sup> იხ. იუნესკოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობების ამსახველი დირექტივები, 1960წ., – <http://unesdoc.unesco.org/images/0015/001556/155-615r.pdf>.



## სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უფრო დიდი კვლევისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს პრაქტიკოსი ქართველი სპეციალისტების ნაშრომები და გამოცდილება, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკა და არსებული მრავალი დოკუმენტი, საჭიროა სხვათა გამოცდილების გაზიარება.

**DAVID GEPERIDZE, AVTANDIL KHAZALIA**

### **ABOUT THE CONTEMPORARY INTERNATIONAL NON-GOVERNMENTAL ORGANIZATIONS**

Under the UN General Assembly 1296 (XIV) resolution 1968, May 23, International non-governmental organization named all those organizations that are not based on Intergovernmental agreements. Under the 1996 July 25 No 1996/31 resolution of Economic and Social Council, International NGO is any non-governmental organization that has not been created on the basis of international treaty and is not aimed at commercial gain. In terms of K. Koliari (France) “Organizations that are often abbreviated as non-governmental organizations, are private organizations in their essence. They gather persons, sometimes even Government Officials and society organizations, but not States”. General properties of an international non-governmental organizations, are: a) lack of financial benefits; b) recognition, at least one state and the existence of consultative status to international intergovernmental organizations; c) received funds from more than one country; d) carry out their activities in at least two countries; e) Formation on the basis of the Founding Act. Member of the International non-governmental organization can not be a subject of international law. NGOs play an active role in all aspects of contemporary international relations. Moreover, they even are leaders in some fields.